

მდგრადი ორგანული დამბინძურებლები მოდ-ები (POPs)

პესტიციდები (ლათ. პესტის – გადამღები სენი, ციდას - ვკლავ) ქიმიური ნივთიერებებია, რომლებსაც იყენებენ მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების, სარვევების, მარცვლეულისა და მარცვლეულის პროდუქტების, მერქნის, ბამბის, შალეულისა და ბამბის ნაწარმთა, შინაური ცხოველების ექტოპარაზიტების, აგრეთვე ადამიანისა და ცხოველის საშიშ დაავადებათა გადამტანების წინააღმდეგ საბძოლველად.

სტოკჰოლმის კონვენცია არეგულირებს 21 ნივთიერებას, მათ შორის: 14 პესტიციდია.

POP–ს პესტიციდებია: ალდრინი, ქლორდანი, დდტ, დილდრინი, ენდრინი, მირექსი, ტოქსაფენი, ჰექსაქლორბენზოლი (HCB), ჰეპტაქლორი, ლინდანი, ჰეპტაქლორ-ბენზოლი, ალფაჰექსაქლორ-ბენზოლი, ბეტა ჰექსაქლორბენზოლი, ჰეპტა ქლორ-ბენზოლი, ქლორდეკონი.

ყველა ადამიანი ვინც პესტიციდებს მოიხმარს ვალდებულია იცნობდეს მათი მოხმარების, შენახვის და თავიდან მოშორების წესებს. დადგადრო მოქმედებისა, ვინაიდან დაყოვნებას შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის.



პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია ეკოხედვა/ECOVISION – კავშირი მდგრადი განვითარებისათვის, მოდ-ების სერთაშორისო გაუვნებელყოფის ქსელის (IPEN) ფინანსური მხარდაჭერით

პროექტი ხორციელდება ქვემო ქართლის რეგიონში და მიზნად ისახავს ფერმერებისა და მოსახლეობის ინფორმირებას სტოკჰოლმის კონვენციის მიერ აკრძალული (მოდ-ების) ქიმიური ნივთიერებების სწორი მოხმარების და შენახვის წესის, ასევე მათი ნარჩენების სწორი მართვის შესახებ.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ: 574 939 209
info@ecovision.ge
www.ecovision.ge



**საქართველოს სოფლის
მოსახლეობის
ინფორმირება
მდგრადი ორგანული
დამბინძურებლების –
მოდ-ების (POPs) შესახებ**

პრობლემა

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში შეიმჩნევა ქიმიურ ნაერთთა წარმოების ზრდა და სხვადასხვა სფეროში ადამიანთა საქმიანობების გააქტიურება, რის შედეგადაც გარემო დაბინძურდა მრავალი ტოქსიკური ნივთიერებით. ამ საქმიანობათაგან მრავალი აუცილებელია კაცობრიობის განვითარებისათვის, თუმცა შედეგად გარემოში საშიში, ტოქსიკური ნივთიერებები ხვდება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, სხვადასხვა ცოცხალ ორგანიზმებსა და გარემოს.

წარმოშობა

განსაკუთრებით მწვავედ ღვას საკითხი იმ ქიმიურ ნივთიერებებთან მიმართებაში, რომლებიც ცნობილია მდგრადი ორგანული დაბინძურებლების – მ(ო)დ-ების (POPs) სახელით. ამ ნაერთების ერთი ჯგუფი, რომელიც უაღრესად მდგრადია გარემოში, გამოიყენება როგორც პესტიციდები, მეორე ჯგუფი – პოლიქლორირებული ბიფენილები – სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ტექნიკაში, ხოლო მესამე ჯგუფი – დიოქსინები და ფურანები, წინასწარ დაუგეგმავად წარმოიქმნება თანაური პროდუქტის სახით წვის პროცესებსა და ზოგიერთ სამრეწველო საქმიანობის დროს.

მ(ო)დ-ები (POPs) განსაკუთრებით საშიშია, ვინაიდან ისინი:

დიდი ხნის განმავლობაში რჩებიან გარემოში მათი გამორჩეული მდგრადობის გამო!

ხდება მათი შორ მანძილებზე გადატანა ბუნებრივი პროცესებით, მათი წარმოშობის ადგილიდან ათასობით კილომეტრის მოშორებით!

აკუმულირდებიან ცოცხალი ორგანიზმების ქსოვილებში, ამ ორგანიზმებში მ(ო)დ-ებით დაბინძურებული საკვების, წყლის და ჰაერის მიხვედრის შედეგად!

წამლავენ ადამიანსა და სხვა ცოცხალ ორგანიზმებს, ახდენენ რა ფართო დიაპაზონის ტოქსიკურ ზემოქმედებას. მ(ო)დ-ების ზოგიერთ წარმომადგენლის (დიოქსინები, ფურანები) უაღრესად მკირე კონცენტრაციასაც კი შეუძლია მნიშვნელოვნად დააზიანოს ცოცხალ ორგანიზმთა თითქმის ყველა სისტემა (პირველ რიგში – იმუნური და რეპროდუქციული სისტემები), გამოიწვიოს სიმსივნური დაავადებები და თანდაყოლილი დეფექტები ბავშვებში.



Stockholm Convention on Persistent Organic Pollutants (POPs)

ალკვეთის მემჩანიზმი

2001 წლის 22-23 მაისს სტოკჰოლმის კონვენციამ მიზნად დაისახა ნარჩენების სახით არსებული მ(ო)დ-ების განადგურება/ლიკვიდაცია, ხოლო გამოყენებაში არსებულის მაქსიმალურად შეზღუდვა და საბოლოოდ მათი ხმარებიდან ამოღება. ასევე, მ(ო)დ-ების, როგორც თანაპროდუქტების გარემოში გამოყოფის შემცირება და საბოლოოდ შეწყვეტა. სტოკჰოლმის კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 2003 წლის 23 მაისს, ხოლო პარლამენტმა მისი რატიფიცირება 2006 წლის 11 აპრილს მოახდინა. დღეისათვის სტოკჰოლმის კონვენციას მდგრადი დაბინძურებლების შესახებ 200-ზე მეტმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი.